საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №68
2014 წლის 4 დეკემბერი

ქ. საგარეჯო

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №57 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა. დადგენილების დანართის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. საშუალო განათლება.“

ბ. ამოღებულ იქნეს დადგენილების დანართის მე-6 და მე-7 მუხლი.

გ. დადგენილების დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 მუხლი

„მუხლი 8. სპეციალისტი.

სპეციალისტს - ამ დანართის პირველი მუხლით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად მოეთხოვება

ა. საშუალო განათლება.

ბ. ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Micrisoft Offise Word, Microsoft Offise Excel) სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ფრიდონ ბურდული**